ბრძანება № 301

" 06 " 10 2014

თბილისის არქიტექტურა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის კონკურსის მეშვეობით შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ" და „ფ" ქვეპუნქტების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადდეს კონკურსი ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის შესყიდვის მიზნით.
2. ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის შესარჩევად დამტკიცდეს საკონკურსო პირობები №1 დანართის შესაბამისად;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) **ნინო ღოღობერიძე** - ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსიის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ბ) **ავთანდილ სუდაძე** – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;

გ) **სოფიო ლობჟანიძე** – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;

დ) **იოსებ ლომთათიძე** – საქართველოს მთავრობის კანცელარიის წარმომადგენელი;

ე) **ლევან ბერიძე** - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი;

ვ) **მერაბ ძაგნიძე** - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი;

ზ) **ტარიელ ჩიგოგიძე** - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი;

4. კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;

5. კომისის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს აპარატმა შემდეგი შემადგენლობით :

ა) არმაზ ხუციბერიძე – კომისიის მდივანი;

ბ) თამთა ლომიძე;

გ) გიორგი ქიტესაშვილი;

დ) ოთარ მურჯიკნელი;

6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში

სამსახურის უფროსის
დროებით მოვალეობის შემრულებელი **ნინო ღოღობერიძე**

205270053

დანართი №1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის შესარჩევად გამოცხადებული

კონკურსის წესი და პირობები

I ზოგადი ნაწილი

1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზანია საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური პროექტის გამოვლენა;

2. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ამოცანაა გამოავლინოს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის საუკეთესო კონცეფცია, რაც შემდგომ ეტაპზე საფუძვლად დაედება შესაბამისი არქიტექტურული პროექტის დამუშავებას;

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს. გამარჯვებულს ღია კონკურსის ფორმით გამოავლენს საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განთავსება მოხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge.

5. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის კონკურსში მონაწილე პირი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე იხდის საფასურს 50 ლარის ოდენობით. ანგარიშის ნომერი მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

II საკონკურსო პირობები

1. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარედ.

2. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო კანცელარიის წინ არსებულ ორ მოედანს (შემდგომში წოდებული: „ქვედა" და „ზედა" მოედანი) და მათთან მიმდებარე სკვერს (იხილეთ საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება №1 დანართის სახით)

205270053

3. <u>ტერიტორიის კეთილმოწყობის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას:</u>

ა) სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებრე ქვედა მოედანზე არსებული შადრევნის რეკონსტრუქცია ავზის მოცულობის შენარჩუნებითა და იერსახის მცირედი ცვლილებით.

ბ) სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებრე ქვედა მოედანზე პარკირების მოწყობა მინიმუმ 5 ავტომობილზე (იხილეთ საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება შესაბამისი მონიშვნით №1 დანართის სახით);

გ) სულხან საბას ქ. №9-ში მდებარე შენობის მიმდებარედ, უკანა სივრცის დაფარვის მიზნით, დეკორატილი კედლის, გამწვანების ან დროშების ფლანგშოტების მოწყობა.

დ) სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებარე ზედა მოედანზე (სპორტული მოედნის გადახურვა) გამწვანებული სკვერის მოწყობა;

ე) სასურველია გათვალისწინებული იქნას არსებული ანბანის კოშკის შენარჩუნება, მისი მიმდებარე სივრცის კეთილმოწყობით და გამწვანებით;

ვ) საპროექტო ტერიტორიაზე ავტომობილების მოძრაობის არსებული ცირკულაციის შენარჩუნება;

4. კონკურსში მონაწილე პირებს როგორც თანდართული მასალების სახით ასევე ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე – tas.ge-ზე <u>შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის ინფორმაცია:</u>

- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა;
- საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო არეალის საზღვრებისა და რეკომენდაციების მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიის ფოტოები;
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრის და რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ვექტორული shp ფაილები;

III საკონკურსო წინადადება

1. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფორმით.

2. <u>საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:</u>

ა) განმარტებითი ბარათი;

ბ) საპროექტო გენ-გეგმა 1:500 მასშტაბით (ესკიზურ დონეზე);

გ) საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია მინიმუმ 4 ხედით (რენდერის სახით ან ხელით შესრულებული);

დ) საპროექტო ტერიტორიის ფოტომონტაჟი მინიმუმ 2 ხედით;

ე) შესრულებული ესკიზის საპროექტო ღირებულების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა;

3. საკონკურსო წინადადება ატვირთული უნდა იქნას ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge ან/და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge .

4. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას პრეზენტაციის სახით ქართულ ენაზე PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით) და დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (გაფართოებით 600 dpi). დაუშვებელია PDF პრეზენტაციაში ავტორის მითითება;

5. კონკურსში გამარჯვებული ესკიზური პროექტის ავტორი, ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცემს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს;

6. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად კონკურსში გამარჯვებული ესკიზური პროექტის ავტორი ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს ნებას რთავს შეიტანოს ცვლილებები გამარჯვებულ ნაწარმოებში;

7. კონკურსში მონაწილე პირმა ამ თავის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაურთოს საკონკურსო წინადადების წარმოდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

8. ამ თავის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

9. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ თავის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, არ განიხილება;

10. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს საკონკურსო პირობების დარღვევით წარმოდგენილი წინადადება.

IV კონკურსის მეშვეობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის ვადები (კალენდარი)

	ღონისძიება	დედლაინი
1	საკონკურსო წინადადების მიღება-რეგისტრაცია	კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში
2	საკონკურსო წინადადების განხილვა	განაცხადების მიღების დასრულებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში
3	შედეგების გამოცხადება	განაცხადების განხილვის დასრულებიდან ორი სამუშაო ვადაში ვადაში
4	ხელშეკრულების გაფორმება	არაუგვიანეს შედეგების გამოქვეყნებიდან ხუთი სამუშაო დღისა

V კომისია

1. კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული კომისია.
2. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი;
3. კომისიას ყავს მდივანი აპარატის შემადგენლობიდან; კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.
4. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით;
7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი.
8. საკონკურსო კომისია გამარჯვებულის გამოვლენის დროს ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, საპროექტო დავალების სრულყოფილად შესრულება, განხორციელების რეალურობა, არქიტექტურული გადაწყვეტის სიახლე და უნიკალურობა, საპროექტო გადაწყვეტის საქართველოს კლიმატურ პირობებთან ადაპტირება.

VI შესყიდვის შედეგები

1. კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს, რომელთანაც შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას.

2. გამარჯვებული კონცეფციის (საპროექტო ესკიზის) შესყიდვის ფასი შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს, რომლის გადახდაც განხორციელდება სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

3. კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ითვლება ჩაშლილად თუ:

ა) არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისი ორი საკონკურსო წინადადება მაინც;

ბ) საკონკურსო კომისია არ მოიწონებს არც ერთ წარმოდგენილ კონცეფციას.

4. კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი ნამუშევრები უკან უბრუნდებათ.

სამსახურის უფროსის
დროებით მოვალეობის შემრულებელი **ნინო ღოღობერიძე**